შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
დამტკიცებულიაშპს საზოგადოებრივ კოლეჯ
ფანასკერტელის დირექტორის
2018 წლის 27 ნოემბრის N40 ბრძანებით
შევიდა ცვლილება დირექტორის 2019 წლის 5 თებერვლის N3 ბრძანებით
შევიდა ცვლილება დირექტორის 2019 წლის 18 ოქტომბრის N38 ბრძანებით
შევიდა ცვლილება დირექტორის 2020 წლის 22 ივნისის N37 ბრძანებით
შევიდა ცვლილება დირექტორის 2020 წლის 26 ივნისის N38 ბრძანებით
შევიდა ცვლილება დირექტორის 2020 წლის 30 ივნისის N40 ბრძანებით
შევიდა ცვლილება დირექტორის 2021 წლის 26 თებერვლის N667 ბრძანებით
შევიდა ცვლილება დირექტორის 2021 წლის 25 დეკემბრის N8188 ბრძანებით
შევიდა ცვლილება დირექტორის 2022 წლის 13 ივნისის N4539 ბრძანებით
შევიდა ცვლილება დირექტორის 2022 წლის 20 სექტემბრის N7037 ბრძანებით
შევიდა ცვლილება დირექტორის 2023 წლის 11 ნოემბრის N14158 ბრძანებით
შევიდა ცვლილება დირექტორის 2024 წლის 1 ოქტომბრის N14258 ბრძანებით
შევიდა ცვლილება დირექტორის 2024 წლის 12 ნოემბრის N17895 ბრძანებით
შევიდა ცვლილება დირექტორის 2024 წლის 17 დეკემბრის N21592 ბრძანებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
ინფორმაციის ტექნოლოგია

საკონტაქტო ინფორმაცია:
მისამართი: ქ. თბილისი, გ. ზაზიაშვილის ქ. N1
ტელეფონი: +995568402020
ელ-ფოსტა: info@fanaskerteli.edu.ge
პროგრამის ხელმძღვანელი: ლილი კაცაძე

თბილისი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე - ინფორმაციის ტექნოლოგია / Information Technology

2. სარეგისტრაციო ნომერი - 06112-პ, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესული საგანმანათლებლო პროგრამა
3. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმა - იმიტირებულ სასწავლო გარემოში განხორციელებული

4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support.

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება - კოდი 0612. აღმწერი - *„შეისწავლის პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციების დიზაინს, ფუნქციონირებასა და ინტეგრაციას. მოიცავს კომპიუტერულ მედია აპლიკაციებსაც".*

5. მიზანი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ინფორმაციის ტექნოლოგიის მიზანია, უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა; პერსონალური კომპიუტერის აპარატურულიდა პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტირებისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

6. დაშვების წინაპირობა:

საბაზო პროფესიული კვალიფიკაციისათვის - საბაზო განათლება.

7. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტად ნებისმიერ სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 62.09.0; 95.11; 95.11.0
  დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3512

8. სტრუქტურა და მოდულები:

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი

ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერის მესამე დონის კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 61 კრედიტი, რომელთაგან 17 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 31 კრედიტი არის საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდულები, 13 კრედიტი არის პროფესიული/დარგობრივი მოდულები- სულ 44 კრედიტი.

იმ პირებმა, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, მესამე დონის ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერის კვალიფიკაციისთვის უნდა დააგროვონ ჯამურად 76 კრედიტი.

მოცულობა - 76 კრედიტი

სავარაუდო ხანგრძლივობა - 14 თვე

იმ პირებმა, რომლებსაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, მესამე დონის ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერის კვალიფიკაციისთვის უნდა დააგროვონ ჯამურად 61 კრედიტი.

მოცულობა - 61 კრედიტი

სავარაუდო ხანგრძლივობა - 11 თვე

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს „გაცნობითი პრაქტიკა სა“ და“პრაქტიკული პროექტს“. „გაცნობითი პრაქტიკის მიზანია, პროფესიულ სტუდენტს სწავლების დასაწყისში შეუქმნას წარმოდგენა ინფორმაციის ტექნოლოგიის სფეროს, დასაქმების შესაძლებლობების, ორგანიზაციული მოწყობისა და პოზიციების, შრომითი ურთიერთობების შესახებ.

№	ზოგადი მოდულები	კრედიტი	სარეგისტრაციო ნომერი
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3	0610003
2.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3	0030104
3.	რაოდენობრივი წიგნიერება	2	0020103
4.	მეწარმეობა 1	2	0410003
5.	სამოქალაქო განათლება	3	0110005
6.	უცხოური ენა	4	0230101
	ჯამი:	17	
№	პროფესიული მოდულები	კრედიტი	
7.	გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში	1	0611204
8.	კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა	7	0611201
9.	კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა	6	0611202
10.	კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები	7	0611203
11.	კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა	7	0611206
12.	მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები	4	0611207
13.	დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support	6	0611208
14.	პრაქტიკული პროექტი - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში	6	0611205

ჯამი:	44	
სულ:	61	

9. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. ააწყოს და დააკომპლექტოს პერსონალური კომპიუტერი;
2. დაამონტაჟოს პერიფერიული მოწყობილობები;
3. დააინსტალიროს და გამართოს ოპერაციული სისტემი;
4. დააინსტალიროს გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა;
5. უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის უსაფრთხოება;
6. განასხვავოს ქსელების ფუნდამენტური პრინციპები და ტიპები;
7. გაარჩიოს ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP,OSI) შრეები და ამ შრეებზე მომუშავე პორტები და ოქმი;
8. გამართოს მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელი;
9. შეაფასოს აპარატურული და პროგრამული რისკები და განსაზღვროს პრევენციული ზომები;
10. მოახდინოს აპარატურული და პროგრამული პრობლემის იდენტიფიცირება და აღმოფხვრას გაუმართაობა.

10. **ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის მიერ.

11. **სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება**

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით
ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.
არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, თუ აღნიშნული მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებითი შეფასება.
განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, თუ აღნიშნული მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს აღნიშნული მოდულის სწავლის შედეგები დაადასტუროს მომდევნო მოდულის დაწყებამდე.
შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.
ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი;

პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება- სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:
მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

12. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები, მიიღოს მონაწილეობა შუალედურ შეფასებაში და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.
პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის პრეროგატივაა.

13. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-12 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

14. ქართული ენა A2 მოდულის - გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

დანართები:

ზოგადი მოდულები

დანართი 1. ინფორმაციული წიგნიერება 1
დანართი 2. ინტერპერსონალური კომუნიკაცია
დანართი 3. რაოდენობრივი წიგნიერება
დანართი 4. უცხოური ენა (ინგლისური)
დანართი 5. მეწარმეობა 1
დანართი 6. სამოქალაქო განათლება

პროფესიული მოდულები

დანართი 7. გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
დანართი 8. კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა
დანართი 9. კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა
დანართი 10. კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები
დანართი 11. კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთოება და პრობლემების აღმოფხვრა
დანართი 12. მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები
დანართი 13. დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support
დანართი 14. პრაქტიკული პროექტი - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
დანართი 15. სასწავლო გეგმა
დანართი 16. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი
დანართი 17. სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი

ქართული ენის მოდული:

დანართი 18. ქართული ენა A2